

მასწავლებელთა ემოციური ინტელექტისა და მიღწევის  
მოთხოვნების კავშირი კარიერულ წინსვლასთან

ნიჟარაძე ანა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

ნიჟარაძე ანა

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი შეეხება მასწავლებლის ემოციური ინტელექტისა და მიღწევის მოტივაციის კავშირს, მასწავლებლის კარიერულ წინსვლაზე. კვლევაში მონაწილეობდნენ საქართველოში მასწავლებლის სტატუსის მქონე პირები, რომლებიც დღესდღეობით დასაქმებულნი არიან საჯარო და კერძო სკოლებში და ეწევიან აკადემიურ საქმიანობას.

ზემოთ ხსენებული საკვლევი საკითხი ფართოდაა შესწავლილი სხვადასხვა ასაკისა თუ პროფესიის ჯგუფთან, მაგრამ კერძოდ ეს თემა საქართველოში არსებულ პოპულაციაში არ უკვლევიათ, შესაბამისად არ ვიცით შედეგი, თუ რამდენად ახდენს თითოეული მათგანი გავლენას მასწავლებლის სტატუსსზე.

კვლევის მიზანია დადგინდეს არსებობს თუ არა მასწავლებლის ემოციურ ინტელექტსა და მიღწევის მოტივაციას შორის კავშირი მასწავლებლის კარიერულ წინსვლასთან.

მოცემულ ნაშრომში განხორციელებული კვლევის რაოდენობრივი მეთოდია მოცემული. პანდემიის გამო, კვლევის ტიპი გახლდათ, ონლაინ გამოკითხვა, რომელიც ეფუძნებოდა შემთხვევითობის პრინციპს. მიღებული შედეგები დავამუშავე პროგრამა, SPSS-ის დახმარებით და, ვინაიდან, მსურდა დამედგინა, არსებობდა თუ არა რაიმე სახის კავშირი ცვლადებს შორის, მონაცემები დამუშავდა კორელაციის გამოყენებით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 70-მა რესპოდენტმა. კვლევაში მონაწილეობდნენ, მაძიებელი, დამწყები, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი (TEIQue) (Petrides, 2009), მიღწევის მოტივაციის საკვლევადა

გამოყენებულ იქნა ელერსის (Tatarinova,2019), მასწავლებლის სტატუსი განისაზღვრა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ.

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა მიღწევის მოთხოვნილება და კარიერული წინსვლის შორის არსებობს უარყოფითი კორელაციური კავშირი, ასევე ემოციური ინტელექტსა და მასწავლებლის სტატუსს შორის სუსტი დადებითი კავშირი, თუმცა პასუხებიდან გამომდინარე მისი სიხშირის გათვალისწინებით, მისი მაჩვენებლით არ არსებობს სტატისტიკურად სანდო განსხვავება.

მიღებული კვლევის შედეგები დეტალურადაა განხილული ნაშრომის ძირითად ნაწილში. რაც შეეხება კვლევის აქტუალობას, ეს თემა მართლაც მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის. მოტივირებული და წარმატებული კარიერის მქონე პირები ბედნიერები არიან და მათი მუშაობაც ბევრად უფრო ეფექტურია. ვფიქრობ სწორედ ბედნიერი და მიზანდასახული მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს კარგად სწავლის მოტივაციას და თავად იქცევა მოდელად მისი მოსწავლეებისთვის. აქვე ემატება ის გარემოებაც, რომ მსგავსი ტიპით ამ საკითხის შესწავლა ამ დრომდე საქართველოში არ განხორციელებულა და ვფიქრობ სწორედ ეს ხდის ნაშრომს საინტერესოს.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: მიღწევის მოტივაცია, ემოციური ინტელექტი, კარიერული წინსვლა, რაოდენობრივი მეთოდი.

## Abstract

The paper studies the impact of a teacher's emotional intelligence and achievement motivation on a teacher's career advancement. The study involved teachers in Georgia with the teaching status, who are currently employed in public or private schools and are engaged in academic activities.

The above-mentioned research question has been extensively studied with the groups of different age and occupation, however, this particular topic has not been studied in the population of Georgia, therefore we do not know how much these factors affect the status of teachers.

The aim of the study is to determine whether there is a link between a teacher's emotional intelligence and achievement motivation and a teacher's career advancement.

This paper uses quantitative research method to obtain the results. Because of the pandemic, the type of research was an online survey based on the principle of randomness. I processed the results with the help of SPSS and, since I wanted to determine if there was any connection between the variables, the data was processed using correlation.

70 respondents participated in this study. Participants had different teaching statuses: seeker, beginner, senior, lead and mentor. In the research process were used the following tools: Emotional Intelligence as a Personality Trait Questionnaire (TEIQue) (Petrides, 2009), Achievement Motivation Survey was used by Ellers (Tatarinova, 2019).

The data analysis showed a negative correlation between teacher's achievement and career advancement as well as a weak positive correlation between emotional

intelligence and teacher status, although there is no statistically significant difference in its rate based on its frequency.

The results of the research are discussed in detail in the main part of the paper. As for the importance of the research, this topic is really meaningful for the next generation. Motivated people with successful careers are happier and their work is much more efficient. I think it is the happy and purposeful teacher who motivates students to learn well and becomes a model for them. Add to this the fact that a similar study of this issue has not been carried out in Georgia so far, and I think this is what makes the paper interesting.

Keywords: achievement motivation, emotional intelligence, career advancement, quantitative method.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელ მაია წერეთელს, იმ შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, რომლითაც დიდი დახმარება გამიწია წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. ასევე ყველა იმ მასწავლებელს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო თემის კვლევით ნაწილში და გულწრფელად უპასუხეს საკვლევ სკაითხებს, რომელთა მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და შესაბამისად მათი შედეგების გაანალიზების გარეშე დასკვნის გამოტანა.